**წესები და პირობები:**

წინამდებარე დასტურით აპლიკანტი სს „თიბისი ბანკს“ ანიჭებს უფლებას, აპლიკაციაში დაფიქსირებული პერსონალური მონაცემები ონლაინ რესტორნის შექმნის მიზნით გადასცეს პარტნიორ კომპანიას: შპს Kovzy-ს, ონლაინ მაღაზიის შექმნის მიზნით გადასცეს პარტნიორ კომპანიას: შპს B2C-ს ან ონლაინ სასტუმროს შექმნის მიზნით გადასცეს კომპანიას - Ehotelspace; ასევე ფოტოგრაფს (აპლიკაციაში პროდუქტების დასურათების მოთხოვნის ველის მონიშვნის შემთხვევაში) და მიტანის სერვისის კომპანიას: Onway, Elvis (მიტანის სერვისის სასურველი კომპანიის არჩევის შემთხვევაში).

აპლიკანტი სს „თიბისი ბანკ“-ს ანიჭებს უფლებამოსილებას მის მიერ აპლიკაციაში წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები შეინახოს და საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს ბლოგი ან/და პოსტი კომპანიის შესახებ; საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტი; გამოიყენოს მარკეტინგულ კომუნიკაციაში;

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები მეკუთვნის მხოლოდ მე, არის ნამდვილი, ზუსტი და სრული. ვიღებ პასუხისმგებლობას აღნიშნული მონაცემების სანდოობაზე და იმ შესაძლო ზიანზე, რაც შეიძლება დადგეს ჩემს მიერ წარდგენილი მონაცემების სანდოობიდან ან/და სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე. მითითებულ საკონტაქტო მეილზე ან ტელეფონის ნომერზე გამოგიგზავნოთ ამ შეთავაზებასთან დაკავშირებული შეტყობინება.

თქვენ გაქვთ უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვოთ თქვენს მიერ გადმოცემული პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა. ამისათვის მოგვწერეთ ელ.ფოსტაზე: Ecommercein3days@tbcbank.com.ge ამ შეთავაზებით სარგებლობისთვის თქვენ უნდა იყოთ ან გახდეთ „თიბისი ბანკ“-ის კლიენტი. ელექტრონული კომერციის მომსახურებით ვერ ისარგებლებს:

პორნოგრაფიული ბიზნესი

თამბაქოს ბიზნესი

იარაღის ბიზნესი

არალიცენზირებული ციფრული კონტენტი

რეპლიკა „ფეიქ" პროდუქცია

ფორექსი

მედიკამენტები, რომლებიც გაიცემა რეცეპტით